

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები
2. სააღრიცხვო პოლიტიკა
3. ფინანსური ანგარიშგების ფორმები
4. კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე

SARAS-A-316572

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

ქ.თბილისი

20 სექტემბერი 2019წ.

ჩავატარე შპს არქიტექსის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული შემოსავლების და გასავლების აუდიტი იმ პერიოდისთვის რომელიც დასრულებულია აღნიშნული თარიღით.წ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა თავისთავად გულისხმობს ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და განხორციელებას, რომელიც ხელმძღვანელობის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას რომელიც არ შეიცავს განზრახ თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომების შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

მე მევალება ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვა მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვასა და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმენა იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი არ გულისხმობს დამკვეთის მიერ აუდიტის პროცესში წარმოდგენილი მტკიცებულებების ექსპერტიზას მათი ნამდვილობის დამოწმების მიზნით. აუდიტი მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებებს.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია დამკვეთის დავალებით და მხოლოდ ის არის უფლებამოსილი განსაზღვროს დასკვნის მომხმარებელ პირთა წრე.

ამ ანგარიშში მე მიზნად დავისახე წარმომედგინა ჩემი მოსაზრებები საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშების მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისობაზე, ჩატარებული აუდიტის მსვლელობაში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე.

ჩემი აზრით, შესამოწმებლად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და საფინანსო - სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციას იმ წლისთვის რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

I. ზოგადი დებულებები

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს არქიტექსი რეგისტრირებულია 2.10.2014

ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერია 404479408

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 14.11.2014

იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზემო ვაკის ქუჩის ბოლოში, სართული 2, ბინა N6,

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის გამზირი 19ა.

საქმიანობა

შპს არქიტექსის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სამშენებლო პროექტების შემუშავება.

საკასო აპარატი არა აქვს.

საბანკო ანგარიში საქართველოს ბანკი: GE57BG0000000863962100

II. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

წარდგენის საფუძვლები

შპს არქიტექსი საბუღალტრო აღრიცხვასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) მოთხოვნათა შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. წინამდებარე აუდიტორული ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე. საწარმო სამეურნეო ოპერაციებს აწარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხვაში ასახულია თვითღირებულებით (შეძენის ფასით), საწარმო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღსარიცხავად იყენებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდს.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებად აღიარებულია ის აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება ერთ წელს და ორგანიზაციის მიერ გამოყენებულია წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ყველა ძირითად საშუალებაზე ინდივიდუალურად და ეფუძნება მის ისტორიულ ღირებულებას. დარიცხვისას გამოყენებულია ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხელმძღვანელობის აზრით ქონების ღირებულება ადეკვატურად ნაწილდება მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მოთხოვნები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდში. გრძელვადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით რომლის გადახდაც უნდა მოხდეს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით.

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის ბოლოს, წარმოშობილი სხვაობები აისახება არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

III. ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ი/მ ასლან გოგინაშვილი

ფინანსური მდგომარეობა 2016-2018 წლების მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1345701	202102	252102
სავაჭრო მოთხოვნები	0	0	0
გადახდილი ავანსები	0	0	0
მარაგები	5424	5585	2987
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	5424	5585	2987
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	280990	270620	66285
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1632115	478307	321374
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	245871	42215	0
ვალდებულებების და ხარჯების ანრიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	162980	20091	0
საგადასახადო ვალდებულებები	243877	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	652728	62306	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	0	0	0

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	979387	416001	321374
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	979387	416001	321374
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1632115	478307	321374

საქმიანობის შედეგები 2017-2018 წლების მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	2018	2017
ნეტო ამონაგები	3076077	2096360
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3076077	2096360
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1042449	-887888
საწყისი მარაგები	-5585	-2987
მარაგების შესყიდვა	-962747	-806611
გადამუშავების დანახარჯები	-79541	-83875
საბოლოო მარაგები	5424	5585
საერთო მოგება	2033628	1208472
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1289682	-950083
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-24988
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-1289682	-975071
საოპერაციო მოგება	743946	233401
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	743946	233401
მოგების გადასახადი	-25729	-19775
მოგება/(ზარალი)	718217	213626
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	718217	213626
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	416001	321374
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-154830	-118999
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	718216	213626
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	979387	416001

ფულადი სახსრების მოძრაობა 2017-2018 წლების მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1143599	-50000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1143599	-50000
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	202102	252102
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1345701	202102

IV. კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ფულადი საშუალებები.

1.1. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას ფულადი საშუალებები საღარიბოში უფიქსირდება 0 ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშებზე 1345701 ლარი. აღნიშნული თანხა განთავსებულია ზემოთ აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე.

2. მოთხოვნები და ვალდებულებები.

2.1. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების მოთხოვნები შეადგენს 0 ლარს.

2.2. ვალდებულებები შეადგენს 652728 ლარს:

ვალდებულებები	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	245871
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	162980
საგადასახადო ვალდებულებები	243877
სულ	652728

3. მატერიალური მარაგები

ორგანიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 5424 ლარის მატერიალური მარაგები.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 3950318 ლარს.

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები ავტომანქანა	მსუბუქი ავტომობ ილი	ოფისის	სულ
31 დეკემბერი 2017	180077	66635	18054	5854	270620
შემოსვლა					34936
პერიოდის ცვლა		-13327	-10068.1	-1170.8	-591599
31 დეკემბერი 2018	180077	53308	42921.9	4683.2	280990

5. ამონაგები

2018 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3076077 ლარი, რაც მთლიანად იყო მიღებული მომსახურების გაწევიდან.

6. დანახარჯები

2018 წლის განმავლობაში ორგანიზაციის დანახარჯები ნაწილდება შემდეგნაირად

- 1) მარაგების შესყიდვა - 962747 ლარი;
- 2) დაგამუშავების დანახარჯები - 79541 ლარი;
- 3) დასაქმებულთა ანაზღაურება - 1289682 ლარი;

7. დივიდენდი.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ გაანაწილა დივიდენდი 154830 ლარი.

დამოუკიდებელი აუდიტორი



/ნ.კალანდაძე/